

შპს კომფორტ ჰაუსი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-17
-------------------------------	------


შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი 400163540


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	2023	2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,777	971
არამატერიალური აქტივები	44	77
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,821	1,048
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	372,495	62,827
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	210,298	423,399
მარაგები	1,168,477	1,276,037
საგადასახადო ვალდებულებები		65,456
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,751,270	1,827,719
სულ აქტივები	1,754,092	1,828,766
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	6,500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,657,700	1,429,570
სულ კაპიტალი	1,657,700	1,436,070
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	80,912	392,696
საგადასახადო ვალდებულებები	15,480	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	96,392	392,696
სულ ვალდებულებები	96,392	392,696
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,754,092	1,828,766

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი 400163540


მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	2023	2022
ამონაგები	3,454,398	3,781,220
თვითღირებულება	(2,552,821)	(2,950,498)
საერთო მოგება	901,577	830,722
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(360,756)	(302,288)
საოპერაციო მოგება	540,821	528,434
სხვა ხარჯები	(8,561)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,563	48
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	(8,146)	(15,280)
მოგება დაბეგვრამდე	525,676	513,202
მოგების გადასახადი	(44,522)	-
წმინდა მოგება	481,155	513,202

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი 400163540

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	6,500	921,225	927,725
პერიოდის სრული შემოსავალი	-	513,202	513,202
მოგების განაწილება		(4,857)	(4,857)
2022 წლის 31 დეკემბერი	6,500	1,429,570	1,436,070
წმინდა მოგება	-	481,155	481,155
პერიოდის სრული შემოსავალი	-	481,155	481,155
მოგების განაწილება		(253,025)	(253,025)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(6,500)	-	(6,500)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,657,700	1,657,700

Handwritten signature

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

1. ზოგადი ინფორმაცია

Handwritten signature

შპს კომფორტ ჰაუსი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 19 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400163540. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო -საცალო ვაჭრობა რკინა-კავეულით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით. შპს კომფორტ ჰაუსი საქართველოს ბაზარზე ახდენს 300 – მდე დასახელების რეალიზაციას ესენია: სხვა და სხვა მოდელების და სიმძლავრის გათბობის ქვაბები, სხვა და სხვა ზომის პანელური და სექციური რადიატორები, საფართოებელი ავზები, ბოილერები, საიზოლაციო მილები, კოლექტორები, კანალიზაციის და წყლის მილები და ფიტინგები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების შეძენას ახორციელებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე იტალიიდან, თურქეთიდან და პოლონეთიდან. კომპანიის ფიზიკური მისამართია ქ.თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №21. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, კავთისხევის ქ., №16 . კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ფელიქს დავით ჯიჭონია. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 6 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალნსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების

მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის

შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის. Z

1. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
ლარში			
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	3,340	1,144	4,485
შესყიდვა	2,203	-	2,203
გასვლა	-	-	-
გაუფასურება			-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	5,543	1,144	6,687
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,394	1,120	3,514
ცვეთის ხარჯი	388	8	396
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,782	1,128	3,910
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის ბოლოს	947	24	971
2023 წლის ბოლოს	2,762	16	2,777

2. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ჯამი
2022 წლის ბოლოს	1,100	1,100
შემოსავლა	-	-
გასვლა		-
2023 წლის ბოლოს	1,100	1,100
დაგროვილი ამორტიზაცია		
2022 წლის ბოლოს	1,023	1,023
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	33	33
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია		-
2023 წლის ბოლოს	1,056	1,056
საბალანსო რირებულება		
2022 წლის ბოლოს	77	77
2023 წლის ბოლოს	44	44

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ლარში	31/12/2023	31/12/2022
ფული სალაროში	70	8,626
ფული საბანკო ანგარიშებზე	372,425	54,202
	372,495	62,827

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	210,044	423,145
სხვა მოთხოვნები	254	254
	<u>210,298</u>	<u>423,399</u>

5. მარაგები

ლარში	31/12/2023	31/12/2022
საქონელი	1,168,477	1,275,906
სხვა მარაგები	-	131
	<u>1,168,477</u>	<u>1,276,037</u>

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	80,912	392,696
საგადასახადო ვალდებულებები	15,480	(65,456)
	<u>96,392</u>	<u>327,241</u>

7. ამონაგები

ლარი	31/12/2023	31/12/2022
მზა პროდუქციის რეალიზაცია	3,454,398	3781220
	3,454,398	3,781,220

8.თვითღირებულება

ლარი	31/12/2023	31/12/2022
მზა პროდუქციის თვითღირებულება	2,552,821	2950498
	2,552,821	2,950,498

9.ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2023	31/12/2022
------	------------	------------

შრომის ანაზღაურება	216,348	195,689
ინტერნეტ სერვისი	480	480
კომუნალური გადასახადი	5,223	3,033
მომსახურება	11,749	2,008
საკანცელარიო ხარჯი	569	316
საღარო აპარატის მომსახურება	102	102
სამეურნეო ხარჯები	1,357	1,665
სარეკლამო ხარჯები	-	133
საბანკო მომსახურების, საკომისიოს და ინკასაციის ხარჯები	12,475	14,436
დაზღვევის ხარჯები	133	570
საიჯარო ქირა	107,493	79,436
საოფისე ინვენტარი	84	135
სოციალური დანარიცხები	4,315	3,950
ცვეთა და ამორტიზაცია	429	325
ქონების გადასახადი	-	11
	360,756	302,288

10. სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2023	31/12/2022
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	(1,328)	(3,653)
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	9,474	18,932
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	(1,563)	(48)
განსაკუთრებული ხარჯები	8,561	
	15,145	15,232

1. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;

პ. ბიჭიშვილი

მ. გ. მ. მ. მ.